

# **უმაღლესი განათლების რეზოლუციის ეკონომიკური კონსტრუქციის ანაღიზი**

**ქეთი ცოტნიაშვილი**, განათლების მკვლევარი  
**დადა ჩახაია**, განათლების მკვლევარი

**ილიან სახადმეიფო უნივერსიტეტი | განათლების სკოლა**  
**განათლების კვლევის ცენტრი**

**05.01.2026**

# საკრებო

შესავალი .....	3
ენაღიზი.....	4
კონცეფციის შემოქმედების კრძმენი .....	4
ავტონომიი დი აკადემიური ტივისუზღები .....	6
შეაღღენი გინათღებინ ხიკისხი .....	10
შეაღღენი გინათღებინ ხიკისხის კიიიიკი დი შეღებები.....	10
ხიკისხის უხიუნვეღყოზის სისგები .....	14
შეაღღენ გინათღებიუხი ხიღმისინვეღმომბი დი ღიუნინინები.....	17
სგუღენთი მისიღები მთღინი კონცინგენცის სიპიკიღღი შემთიკიბი.....	17
ღიუნინინების შემთიპიპიუბიღი მღღიღი, გიმყოზიღი გიუჟიღი დი უჟისო შეაღღენი გინათღებინ ღიპიკიბი: უხთიიკთბიღმომბიიხიპი სუიკთი .....	18
თბიღისპი ხიღმისინვეღმომბის მკვეთი შემთიკიბი .....	20
კიბიღიღი უნიპიკისიგებების პიკსიპიიიპი .....	20
გიღღიპიპიღი პიკიღიღი დი სგუღენებინ ინგებინები .....	21
კონცეფციის გუნღიპიღი სიუიპიღები, ცნებები დი მონიღღიღიღი შემღებები .....	22
ღისკპენი .....	24
ღინიკთები .....	25

წინამდებარე პოლიტიკის ანალიზი განიხილავს 2025 წლის 16 ოქტომბერს წარმოდგენილ და 1 დეკემბერს დამტკიცებულ უმაღლესი განათლების რეფორმის ეროვნულ კონცეფციას (შემდგომში - კონცეფცია) და ავლენს მთელ რიგ ფუნდამენტურ, კონცეპტუალურ და პროცედურულ ხარვეზებს. ეს ხარვეზები მნიშვნელოვან რისკებს უქმნის საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებას. ანალიზი აჩვენებს, რომ როგორც კონცეფციის შედგენის პროცესი, ისე მასში მოცემული ინიციატივები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, უმაღლესი განათლების შესახებ კანონსა და ბოლონის პროცესის ფარგლებში ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის წევრი ქვეყნებისთვის განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს. ეს წინააღმდეგობები აფერხებს უმაღლესი განათლების სისტემის მდგრად განვითარებას, საფრთხეს უქმნის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერესებისა და უფლებების დაცვას, ძირს უთხრის ინსტიტუციურ ავტონომიასა და აკადემიურ თავისუფლებას, ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს ვალდებულებებსა და მისწრაფებებს ევროპული ინტეგრაციისა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესრულების თვალსაზრისით.

ამასთან, კონცეფციის კრიტიკული სისუსტე მდგომარეობს უმაღლესი განათლების სისტემის მიზნისა და ქვეყანაში უნივერსიტეტის მისიის მკაფიო და თანმიმდევრული ჩამოყალიბების არარსებობაში, რაც ნებისმიერი რეფორმის ფუნდამენტია. აღნიშნული მიზნისა და მისიის გაცხადება კი შესაძლებელია მხოლოდ აკადემიურ და ფართო საზოგადოებასთან ღია დისკუსიის საფუძველზე.

კონცეფციით შემოთავაზებული ცვლილებები ეწინააღმდეგება ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს, რაც რისკებს უქმნის საქართველოს უმაღლესი განათლების საერთაშორისო აღიარებასა და სანდოობას, მათ შორის სამედიცინო განათლების სფეროში.

ამასთან, კონცეფციის შემუშავებისა და განხილვის დახურული ფორმატი, ანალიტიკური საფუძვლისა და ემპირიული მტკიცებულებების არარსებობა, შეუსაბამობა იდენტიფიცირებულ პრობლემებსა და შემოთავაზებულ გადაწყვეტილებებს შორის, დაუზუსტებელი და ორაზროვანი ტერმინოლოგიის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს რეფორმის კონცეპტუალურ სანდოობასა და პოლიტიკურ ლეგიტიმაციას. კონცეფციას, რომლის განხორციელებაც უკვე დაწყებულია, არ გააჩნია რეფორმის განხორციელებისთვის აუცილებელი ელემენტები, როგორებიცაა: განხორციელების გეგმა, შესაბამისი რესურსების და ფინანსური უზრუნველყოფა, ვადების, პასუხისმგებელი ორგანოებისა და პირების, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა და რისკების ანალიზი.

ანალიზი მიუთითებს, რომ რეფორმა ვერ უზრუნველყოფს ქვეყნისა და საუნივერსიტეტო სივრცის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების, ასევე ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის პრინციპების დაცვას.

# ანალიზი

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა, როგორც ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი, ეფუძნება ისეთ პრინციპებს როგორებიც არის: უმაღლესი განათლების მმართველობით პროცესში აკადემიური საზოგადოების არსებითი ჩართულობა, უნივერსიტეტების ავტონომია, აკადემიური თავისუფლება და აკადემიური კეთილსინდისიერება. აღნიშნული საკითხები რეგულირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და უმაღლესი განათლების შესახებ კანონით და ხაზგასმულია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის პოლიტიკის დოკუმენტებში.

## კონსტრუქციის შეფუთვების პროცესი

### კონსტრუქციის შეფუთვების, განხილვის და დამტკიცების პროცესში არ იყო უზრუნველყოფილი აკადემიური საზოგადოების არსებითი მონაწილეობა

2025 წლის 16 ოქტომბერს წარდგენილი და 1-ელ დეკემბერს დამტკიცებული უმაღლესი განათლების რეფორმის ეროვნული კონცეფციის<sup>1</sup> შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცესში სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონით, ასევე ბოლონის პროცესის ფარგლებში განსაზღვრული პრინციპების დაცვა - უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების და მმართველობის პროცესში სტუდენტების და პერსონალის არსებითი ჩართულობის და მონაწილეობის შესახებ. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის “ზ” პუნქტის მიხედვით სახელმწიფო უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესრულების კონტროლის პროცესში<sup>2</sup>.

ამასთან, უმაღლესი განათლების ევროპულის სივრცის (EHEA) 2024 წლის მინისტრიალზე მიღებულ კომუნიკეში (ტირანას კომუნიკე, 2024), კიდევ ერთხელ არის ხაზი გასმული წევრი ქვეყნებისა და პასუხისმგებელი პირების ვალდებულებაზე, უზრუნველყონ პირობები უმაღლესი განათლების ინსტიტუციურ და სისტემურ მართვასა და განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებში სტუდენტებისა და პერსონალის არსებითი ჩართულობისთვის<sup>3</sup>.

<sup>1</sup> უმაღლესი განათლების რეფორმის ეროვნული კონცეფცია. 16 ოქტომბერი, 2025

<sup>2</sup> უმაღლესი განათლების რეფორმის ეროვნული კონცეფცია. 1-ელი დეკემბერი, 2025

<sup>3</sup> საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. 2004

<sup>4</sup> ვიკიანას კომუნიკე. 2024

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის განაცხადი უნდა შედგებოდეს ლიკაბუღებუბთან დაკავშირებით. 2024

1. როგორც აკადემიური საზოგადოებისთვისაა ცნობილი, კონცეფციის განხილვა მხოლოდ პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის უნივერსიტეტების რექტორებთან სამი დახურული შეხვედრით შემოიფარგლა, რაც გამორიცხავს აკადემიური საზოგადოების - სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის - არსებით ჩართულობასა და მსჯელობას უმაღლესი განათლების სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით.
2. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კონცეფციის არსებითი განხილვის და დამტკიცების გარეშე უკვე დაწყებულია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. მაგალითად, 2025 წლის 11 ნოემბერს ცვლილება შევიდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების წესში,<sup>4</sup> რომლის მიხედვითაც, უნივერსიტეტებმა უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში 2026 წლის 9 თებერვლამდე უნდა წარადგინონ ანკეტა-კითხვარები სტუდენტთა მისაღები კვოტების შესახებ. როგორც მედიასთან გაკეთებული განცხადებებიდან ირკვევა, ამ დროისათვის ბაზრის კვლევის შედეგების საფუძველზე დადგინდება სტუდენტთა მისაღები კვოტები სხვადასხვა უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული პროფილების შესაბამისად<sup>5</sup>. 2025 წლის 10 დეკემბერს ასევე ცვლილებები შევიდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში,<sup>6</sup> რომლის მიხედვითაც (სხვა ცვლილებებთან ერთად), გაუქმდა საგრანტო დაფინანსება და განისაზღვრა, რომ საქართველოს მთავრობა უნივერსიტეტებს განუსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) ჩამონათვალს და მისაღების სტუდენტების რაოდენობას პროგრამების მიხედვით.
3. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის (234/2-XIმპ, 03.12.2025)<sup>7</sup> განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია, რომ პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებს/დანესებულებს, ექსპერტებს, სამუშაო ჯგუფს.

ზემოთ აღწერილი პროცესი არღვევს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, EHEA-ის პრინციპებს და ლახავს საქართველოს აკადემიური საზოგადოების ღირსებასა და უფლებას, არსებითი მონაწილეობა მიიღონ უმაღლესი განათლების ფორმირებასა და სისტემურ ცვლილებებში. შესაბამისად, აღნიშნული პროცესი ასევე ეწინააღმდეგება საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებასთან, რადგან შეთანხმების 359-ე მუხლი სწორედ ბოლონიის პროცესის პრინციპებთან ჰარმონიზაციას გულისხმობს<sup>8</sup>.

<sup>4</sup> [„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების წესებისა და სახელმწიფო სასწავლო გეგმის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე](#)

<sup>5</sup> [„უკუღმვათხვევა კვოტების განაწილება შრომის ბაზრის ანალიზს დაუზუსტდება“](#)

<sup>6</sup> [„ცვლილება უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 1198-IVმს-XIმპ“](#)

<sup>7</sup> [„საქართველოს კანონის პროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ \(234/2-XIმპ, 03.12.2025\)“](#)

<sup>8</sup> [„ესოციაციის შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის აღმოსავლეთ ნაწილის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის, 2014“](#)

ამასთან, ვინაიდან კონცეფცია გულისხმობს მასშტაბურ ცვლილებებს საგანმანათლებლო სისტემის ძირითად კანონებში, რომელთაც მნიშვნელოვანი ფისკალური, ინსტიტუციური, ადმინისტრაციული და სოციალური გავლენა ექნებათ, ასევე, კონცეფციაში აღწერილი საკითხები დაკავშირებულია საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებთან, დაგეგმილი ცვლილებების შესახებ კანონპროექტის მომზადებამდე საჭირო იყო რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტის მომზადება. საქართველოს მთავრობის 35-ე დადგენილების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ განათლების კანონში ცვლილებები არ შედის სავალდებულო კანონების ნუსხაში, რეგულირების ზეგავლენის შეფასება „შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს ნებისმიერი ნორმატიული (მათ შორის კანონქვემდებარე) აქტის პროექტის მომზადებისას, მისი ავტორის/ინიციატორის – საქართველოს მთავრობის ან საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო დაწესებულების გადაწყვეტილებით“ (დადგენილება N 35, 2020, მუხლი 5, 1)<sup>9</sup>.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის მომზადება და ამ პროცესთან დაკავშირებული ნაბიჯების გავლა, ღია და საჯარო კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებსა და ექსპერტებთან, სათანადო ხარისხის კვლევა, მონაცემთა შეგროვება და მტკიცებულებებზე დაყრდნობა ნარმოდგენა, იყო ის აუცილებელი და მინიმალური სტანდარტი, რომელიც დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო ასეთი მასშტაბური ცვლილებების დაგეგმვისას.

## **აპრონომია და აკადემიური თავისუფლება**

### **კონსტრუქციული უხეშად არღვევს უნივერსიტეტების ავტონომიასა და აკადემიურ თავისუფლებას**

როგორც კონცეფციის შემუშავების და დამტკიცების პროცესი, ასევე მისი შინაარსი უხეშად არღვევს უმაღლესი განათლების ფუნდამენტურ პრინციპებს - ინსტიტუციურ ავტონომიასა და აკადემიურ თავისუფლებას. აღნიშნული საკითხები საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტით არის უზრუნველყოფილი. უმაღლესი განათლების შესახებ კანონი დამატებით აკონკრეტებს აღნიშნულ საკითხებს და განმარტავს, რომ ავტონომია გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის თავისუფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვრონ და განახორციელონ აკადემიური, საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა (მუხლი 2, ბ).

ამასთან, EHEA-ის პოლიტიკის დოკუმენტები, მათ შორის, ტირანას კომუნიკე<sup>10</sup>, ხაზს უსვამს უნივერსიტეტების ავტონომიის დაცვის პასუხისმგებლობას, რომ უნივერსიტეტებს ჰქონდეთ ნება და შესაძლებლობა, განსაზღვრონ და განახორციელონ საკუთარი პრიორიტეტები და პოლიტიკა (1) მართვის/ორგანიზების, (2) ფინანსების, (3) პერსონალისა და (4) აკადემიური საკითხების შესახებ. ინსტიტუციური ავტონომია აკადემიური თავისუფლების წინაპირობაა, რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტებისა და აკადემიური პერსონალის თავისუფლებას, თავად

<sup>9</sup> [საქართველოს მთავრობის დადგენილება #35 ავტონომიის უზრუნველყოფის უზრუნველყოფის დოკუმენტის შესახებ](#)

<sup>10</sup> [გირანას კომუნიკე, 2024](#)

განსაზღვრონ სწავლებისა და კვლევის სფეროები, მასშტაბები, მიზნები და მეთოდები კანონმდებლობის და აკადემიური სტანდარტების ... აგრეთვე აკადემიური კეთილსინდისიერების ღირებულებების შესაბამისად<sup>11</sup>.

კონცეფციაში მოცემული განაცხადები, ასევე უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2025 წლის 10 დეკემბერს შესული ცვლილებები, უხეშად არღვევს ინსტიტუციური ავტონომიისა და აკადემიური თავისუფლების ზემოაღნიშნულ ნორმებს.

1. უნივერსიტეტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამებისა (კურიკულუმის) და შესაბამისი სტუდენტთა მისაღები კვოტების ცენტრალიზებული განსაზღვრა. საუნივერსიტეტო ავტონომიისა და აკადემიური თავისუფლების შელახვის უმძიმეს პრეცედენტს წარმოადგენს უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2025 წლის 10 დეკემბერს შეტანილი ცვლილებები,<sup>12</sup> რომლის მიხედვითაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ერთმევათ უფლება, თავად განსაზღვრონ, თუ რომელ საგანმანათლებლო პროგრამებს განახორციელებენ და რა იქნება მათი სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. ცვლილების მიხედვით, საქართველოს მთავრობა განათლების სამინისტროს წარდგინებით განუსაზღვრავს უნივერსიტეტებს საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების)<sup>13</sup> ჩამონათვალს, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვთ. ასევე უნივერსიტეტებს მხოლოდ ამ ჩამონათვალის შესაბამისად შეეძლება სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. ამავე საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, მთავრობა ამტკიცებს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) მიხედვით.
2. სტუდენტთა მისაღები კვოტების ხისტად „სახელმწიფო დაკვეთისა“ და შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრა. სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტების კვოტების სახელმწიფო დაკვეთისა და შრომის ბაზრის მიხედვით განსაზღვრა, აკადემიური თავისუფლების უხეში ხელყოფაა, რომელიც მნიშვნელოვნად აკნინებს უმაღლესი განათლების ფუნქციას და მიზნებს. უმაღლესი განათლების მიზნები გულისხმობს (თუმცა არ შემოიფარგლება) ავტონომიური და პასუხისმგებლიანი პიროვნების ჩამოყალიბებას, პიროვნული ინტერესებისა და ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას, პიროვნების ცვალებად გარემოში დასაქმებისთვის მომზადებას, დემოკრატიული და ჰუმანური საზოგადოების ჩამოყალიბებას, სამეცნიერო, კვლევითი და ინოვაციური მიდგომებით ადგილობრივი და მსოფლიო გამოწვევების გადაწყვეტაში

<sup>11</sup> [EHEA-ის განაცხადი უნივერსიტეტების უნივერსიტეტების შესახებ, 2024](#)

<sup>12</sup> [უმაღლესი განათლების შესახებ საკანონმდებლო აქტის ცვლილების შეფასების თაობაზე, 1198-IV-ს-ქიპ, 10.12.2025](#)

<sup>13</sup> საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კატიგორიით, სფეროებში შესაბამისი სისიზმად და სასწავლო პროცესის ორგანიზების თაობაზე განაცხადი. მათ შორის ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ანატიმის აკადემიის შემთხვევაში) უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, მუხლი 2, პ<sup>1</sup>

კონტრიბუციას<sup>14</sup>. შესაბამისად, სახელმწიფო დაკვეთასა და შრომის ბაზარზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მიდგომა ზღუდავს როგორც უნივერსიტეტების ფუნქციას, ასევე სტუდენტების შესაძლებლობებს, შეიძინონ ცვალებად გარემოში სრულფასოვანი ცხოვრებისთვის და მიმდინარე გამონვევების გადასაწყვეტად საჭირო მონინავე ცოდნა, კომპეტენციები და ღირებულებები.

3. **“ერთი ქალაქი - ერთი ფაკულტეტი” არღვევს ინსტიტუციურ ავტონომიას.** რესურსების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით გაკეთებული განაცხადი, როგორცაა “ერთი ქალაქი - ერთი ფაკულტეტი”, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო უნივერსიტეტებში მოქმედი ფაკულტეტების გადანაწილებას “ტრადიციული პროფილისა და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით,” ეწინააღმდეგება უნივერსიტეტების ავტონომიას, თავად მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარი აკადემიური საქმიანობის პროფილის, პრიორიტეტებისა, რესურსებისა და ორგანიზების შესახებ.
4. **აკადემიურ ავტონომიაში უხეში ჩარევა სახელმწიფო უნივერსიტეტებში უცხოელი სტუდენტების მიღების შეზღუდვა.** სტუდენტების, მათ შორის უცხოელი სტუდენტების, მიღების შესაძლებლობა უნივერსიტეტებს, მათი რესურსებიდან და ხარისხის ინტერესიდან გამომდინარე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით განესაზღვრებათ<sup>15</sup>.
5. **3 (ბაკალავრიატი) +1 (მაგისტრატურა) სისტემის შემოღება. 3+1 სისტემის განსაზღვრა აკადემიური ავტონომიისა და თავისუფლების უხეში დარღვევაა,** რადგან უნივერსიტეტსა და აკადემიურ პერსონალს ეზღუდება შესაძლებლობა, პროგრამების მიზნიდან, დარგის სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე განსაზღვრონ პროგრამების ხანგრძლივობა საქართველოს საგანმანათლებლო კონტექსტის, ასევე საერთაშორისოდ დადგენილი პრინციპებისა და საუკეთესო გამოცდილების საფუძველზე. ასეთი ხისტი მიდგომა ასევე საფრთხეს უქმნის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს და სწავლის შედეგების ჭეშოვან მიღწევას.
6. **კონცეფციაში განსაზღვრული და მისი წარდგენისას გამოცხადებული აკადემიური პერსონალის საკადრო პოლიტიკა უხეშად არღვევს უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მართვის ავტონომიას.** კონცეფციის ჩანაწერი და პრეზენტაციაზე<sup>16</sup> დაკონკრეტებული საკითხი, რომ თითოეულ მიმართულებას უხელმძღვანელებს 1 პროფესორი, რომელთანაც იმუშავებს 2-3 ასოცირებული პროფესორი და ათზე მეტი ასისტენტ-პროფესორი არღვევს არა მხოლოდ ავტონომიის, არამედ აკადემიური თავისუფლების პრინციპს. აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს იერარქიული და ფიქსირებული თანაფარდობით განსაზღვრულ სტრუქტურას, რაც თავშივე გამოიხატავს დაქვემდებარებული ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თავისუფლებასა და ავტონომიას. ეს კი არსებითი საფრთხეა აკადემიური და კვლევითი საქმიანობის თავისუფალი, მრავალფეროვანი და

<sup>14</sup> კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004, მუხლი 3; [უნივერსიტეტების ელიტა 2020: ევროპის საბჭოს მინისტრთა კომისიის რეკომენდაცია CM/REC\(2007\)6](#)

<sup>15</sup> [საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 99/6, 2010](#)

<sup>16</sup> [უმაღლესი განათლების რეზოლუციის ეროვნული კონსენსუსის პრეზენტაცია](#)

ინტერდისციპლინური განვითარებისთვის. ამასთან, ხისტი თანაფარდობებით განსაზღვრული აკადემიური პერსონალის რაოდენობა უგულებელყოფს თითოეული მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის საჭიროებასა და სპეციფიკას, დააბრკოლებს აკადემიური პერსონალის დანინაურების შესაძლებლობებს, რისი ეფექტიანად მართვა და გათვალისწინება არა ცენტრალიზებული დაგეგმვით, არამედ აკადემიური თავისუფლების პირობებში, ფაკულტეტებისა და სკოლების დონეზეა შესაძლებელი.

გარდა იმისა, რომ შემოთავაზებული ცვლილება აკადემიური პერსონალის მართვის ავტონომიას არღვევს, ასევე სერიოზულ საფრთხეს უქმნის არსებული აკადემიური პერსონალის სტატუსსა და მდგომარეობას. ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტებში აფილირებული პერსონალის განაწილება მოცემულია 1-ელ ცხრილში. თუკი დავუშვებთ, რომ მთლიანად აფილირებული პერსონალის ჯამური რაოდენობა არ შემცირდება, მაშინ კონცეფციის დებულებების გათვალისწინებით, ცხრილში მოცემული პირველი სცენარის სავარაუდო კონფიგურაციით შეიძლება შეიცვალოს საჯარო უნივერსიტეტებში პროფესორ-მასწავლებელთა ამჟამინდელი შეფარდება, რაც ნიშნავს, რომ ბევრი პროფესორი და ასოცირებული პროფესორი დაკარგავს სტატუსს (სცენარი I). თუკი დავუშვებთ, რომ პროფესორები სტატუსს არ დაკარგავენ, მაშინ აკადემიური პერსონალის ჯამური რაოდენობა, შემოთავაზებული შეფარდების გათვალისწინებით, მკვეთრად გაიზრდება (სავარაუდო სცენარი II), რაც მიმდინარე ფისკალურ წელს განათლების ბიუჯეტის შემცირების კვალობაზე არარეალისტური სცენარია.

**ცხრილი 1. სახელმწიფო უნივერსიტეტებში აკადემიური პერსონალის რაოდენობა**

	აკადემიური პერსონალი სულ	ასისტენტი	ასისტენტი-პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	პროფესორი
აზერბაიჯანი	3816	124	714	1978	1000
საქართველო სცენარი I	3822	2730		819	273
საქართველო სცენარი II	14 000	10 000		3000	1000

*წყარო: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონაცემების საფუძველზე ავტორების გამოთვლა*

7. უნივერსიტეტების თანხმობის გარეშე უნივერსიტეტების შენობების მოსალოდნელი გაყიდვა როგორც ფინანსურ და ქონებრივ, ასევე აკადემიურ ავტონომიაში ჩარევის მიძიმე პრეცედენტს შექმნის. კონცეფციაში აღნიშნული ჩანაწერებისა თუ პრემიერ-მინისტრთან ინტერვიუებიდან<sup>17</sup> ვარკვევთ, რომ კონცეფცია გულისხმობს თბილისის

<sup>17</sup> [აკადემიკ-მინისტრი ირაკლი კობახიძე გალაყავა „იბერი LIVE“-ს 17 ოქტომბერი, 2025](#)

ცენტრალურ უბნებში მდებარე საუნივერსიტეტო შენობების გაყიდვასა და რუსთავში ახალი ინფრასტრუქტურის აშენებას. აღნიშნული ინიციატივა საყრდენს გამოაცლის ქალაქის ცენტრში უკვე დამკვიდრებულ აკადემიურ კულტურას. აღსანიშნავია, რომ საუნივერსიტეტო შენობები გამოირჩევა თავიანთი ისტორიული მესხიერებით, დისციპლინური მახასიათებლებით, არტეფაქტებითა თუ სამეცნიერო ლაბორატორიებით. შენობების გაყიდვა არსებით საფრთხეს ქმნის უმაღლესი განათლების უწყვეტობისა და აკადემიური სივრცის მთლიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ამასთან, უნივერსიტეტების განვითარებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ საკუთარი ქონების მართვის ავტონომია, რათა სტრატეგიულად შეძლონ რესურსების ეფექტური განკარგვა.

აღნიშნული საკითხები ცალსახად ეწინააღმდეგება აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიის შესახებ ამავე კანონში განსაზღვრულ უფლებას, საქართველოს კონსტიტუციას, ბოლონიის პროცესის პრინციპებს და, შესაბამისად, არღვევს ასოცირების შეთანხმების 359-ე მუხლით ნაკისრ ვალდებულებას. აღნიშნული ცვლილება აკადემიურ საქმიანობას მთლიანად დამოკიდებულს გახდის სამთავრობო და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, შეზღუდავს და შეაფერხებს თავისუფალ და ღია აკადემიურ და სამეცნიერო განვითარებას.

## უმაღლესი განათლების ხარისხი

### უმაღლესი განათლების ხარისხის კიჩიკა და შედეგები

**ქონცეფცია უმაღლესი განათლების ხარისხის სახელმწიფო პასუხისმგებლობას, ასევე უნივერსიტეტების მიერ შეზღუდული რესურსების პირობებში მიღწეულ შედეგებს.**

კონცეფცია ხაზს უსვამს უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზანს. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციური ავტონომია და აკადემიური თავისუფლება სწორედ ის წინაპირობებია, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალებას აძლევს, შეასრულონ საკუთარი დემოკრატიული მისია და უზრუნველყონ მაღალი ხარისხის სწავლა, სწავლება და კვლევა, შეიტანონ წვლილი საზოგადოებრივი გამოწვევების გადაწყვეტაში.

როგორც კონცეფციის დოკუმენტი, ასევე შემდგომ პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები აკრიტიკებს უმაღლესი განათლების არსებულ ხარისხს და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაუმართავობას. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების ხარისხი საქართველოში არსებითად საჭიროებს გაუმჯობესებას, უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხი პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოს მხრიდან უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყოფილ რესურსებთან, დაფინანსებასთან, განხორციელებულ


მხარდამჭერ სტრატეგიებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის თანმიმდევრულ განვითარებასთან. წლების განმავლობაში ეს პირობები უზრუნველყოფილი არ ყოფილა.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსებაზე გამოყოფილი თანხები უკიდურესად მწირია. 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე გამოყოფილი იყო 221.5 მილიონი ლარი<sup>18</sup>, ხოლო კვლევის დაფინანსებაზე - 83.6 მილიონი ლარი.

საქართველოში უმაღლეს განათლებაზე გაწეული მთლიანი დანახარტების მხოლოდ 20%-ს იხდის სახელმწიფო, სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის გადასახადი კი დაახლოებით 80%-ია. ეს ნიშნავს, რომ უმაღლესი განათლება ქვეყანაში ვითარდება ძირითადად კერძო, და არა სახელმწიფო, სახსრებით. ასევე აღსანიშნავია, რომ უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის გადასახადი, სულ მცირე, ორჯერ აღემატება უმაღლეს განათლებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას.

ამასთანავე, ეს დაფინანსება წლების განმავლობაში არ იზრდება მშპ-ისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობის ზრდის კვალდაკვალ.

#### ღიპგაბა 1. უმაღლესი განათლებისა და კვლევის სახელმწიფო დაფინანსების დინამიკა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


<sup>18</sup> [საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები](#) ამ თანხიდან 20.2 მილიონი გამოყოფილი იყო სახელმწიფო უმაღლეს განათლებაზე, 30 მილიონი კი - უმაღლესი განათლების ინფრასტრუქტურაზე. აღსანიშნავია, რომ 2026 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გამოყოფილი თანხები მკვეთრად შემცირდება.

[შედეგებისათვის](#): 2024 წელს [ვიღნიუსის უნივერსიტეტის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან](#) იყო 163.4 მილიონი ევრო (დაახლოებით 520 მილიონი ლარი). 2024 წელს კი საქართველოს უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე ჯამში გამოყოფილი იყო 166.4 მილიონი ლარი. ვიღნიუსის უნივერსიტეტში დაახლოებით იმდენივე სწავლავს სწავლავს, რამდენი თსუ-ში. ღიპგავის მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით ორჯერ აღემატება საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტს.

ამ დინამიკიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკაში უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსების წილი რეალურად შემცირდა: თუკი **2018** წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე გამოიყოფოდა **მშპ-ის 0.43%**, **2024** წელს ეს მაჩვენებელი იყო **0.23%**. შედარებისათვის: ევროკავშირის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 0.5%-დან 2.1%-მდე ვარირებს და ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი **0.8%-ია**<sup>19</sup>. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა კვლევის მიმართულებით. სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ **0.1%** იხარჯება კვლევაზე (ევროკავშირის მაჩვენებელი: 0.71%<sup>20</sup>). აღსანიშნავია, რომ 2026 წლის ბიუჯეტში უმაღლესი განათლების დაფინანსების არსებითად გაზრდა არ არის გათვალისწინებული.

ხარისხის შეფასებისას კრიტიკული საკითხია განათლებასა და მეცნიერებაზე გამოყოფილი რესურსების გათვალისწინება. ხარისხის რაოდენობრივი გაზომვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია სამეცნიერო პუბლიკაციების შედეგიანობის მაჩვენებელი. მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოში 2018 წლის შემდეგ კვლევისა და უმაღლესი განათლების დაფინანსების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით თითქმის განახევრდა. ამის მიუხედავად, ამ პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდებოდა საქართველოს სამეცნიერო პროდუქტიულობა.

## ღიპგაგა 2. უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება, სამეცნიერო პროდუქტიულობა



*წყარო: სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, Scimago Journal & Country Ranking<sup>21</sup>*

ამასთან, ხარისხის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს ინტერნაციონალიზაციის ხარისხი. 2016 წლიდან დღემდე 31-მა პროგრამამ მოიპოვა საერთაშორისო აკრედიტაცია (EMIS, 2025). ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების პოზიცია საერთაშორისო რეიტინგებში. Times Higher Education-ის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში 2017 წელს პირველად

<sup>19</sup> [სახელმწიფო დანახარჯი განათლებაზე ევროკავშირში, 2023](#)  
<sup>20</sup> [ევროკავშირის დანახარჯი კვლევისა და განვითარებაზე, 2024](#)  
<sup>21</sup> [SCIMAGO JOURNAL & COUNTRY RANKING](#)

გამორჩა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დღეს კი სამი ქართული უნივერსიტეტია წარმოდგენილი (ცხრილი 2)<sup>22</sup>.

**ცხრილი 2. საქართველოს უნივერსიტეტების კოზონა მსოფლიო რანჰინგებში**

უნივერსიტეტი	ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი	საქართველოს ზეინიკური უნივერსიტეტი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
<b>კოზონა რანჰინგები</b>			
2026-2025-2024	1200-1500	1500+	1500+
2022	1200+	-	1200+
2017	-	-	801+
<b>მთლიანი ქულა</b>			
2026	27.3-32.0	10.3-27.2	10.3-27.2
2025	25.2-30.6	10.5-25.1	10.5-25.1
2024	22.8-28.2	9.7-22.7	9.7-22.7
2022	10.6-22.3	-	10.6-22.3
2017	-	-	8.3-18.5

ასევე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საქართველოში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა. ბოლო 5 წლის განმავლობაში ეს რიცხვი გაორმაგდა (2021 წელი - 17501 სტუდენტი) და 2025 წლისთვის საქართველოს უნივერსიტეტებში 37125 უცხოელი სტუდენტი ირიცხება<sup>23</sup>.

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მინიმალური რესურსებისა და შემცირებული დაფინანსების პირობებში, რაც სისტემაში არსებულ პრობლემებსა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობას უსვამს ხაზს, უნივერსიტეტები თავიანთი ძალისხმევით, რესურსებისა და ავტონომიის ფარგლებში განაგრძობენ საკუთარი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას.

შესაბამისად, რეფორმის მთავარი ფოკუსი უნდა იყოს არა უნივერსიტეტების ავტონომიის უგულებელყოფა და აკადემიური საზოგადოების პროცესიდან გამოთიშვა, არამედ სახელმწიფოს მიერ არსებულ სისტემურ პრობლემებზე პასუხისმგებლობის აღება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საუნივერსიტეტო სივრცის საჭიროებების და

<sup>22</sup> [TIMES HIGHER EDUCATION-ის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჰინგები](#)

<sup>23</sup> [საქსტატი, უცხოელ სტუდენტთა რიცხვთა რეგისტრაცია, 2025](#)

განვითარების პოტენციალის ემპირიული შესწავლისა და აკადემიური საზოგადოების არსებითი ჩართულობის საფუძველზე პოლიტიკა მიმართოს უნივერსიტეტების მხარდაჭერასა და გაძლიერებაზე.

## ■ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

### კონცეფცია ეწინააღმდეგება ხარისხის უზრუნველყოფის საქართველოში მოქმედ და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში განსაზღვრულ სისტემასთან.

კონცეფციაში მოცემული წინადადებები ეწინააღმდეგება საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს, რაც კრიტიკული საკითხია საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის თავსებადობისთვის ევროპულ და სხვა საერთაშორისო ხარისხის აღიარების ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის რეესტრი (EQAR), ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ასოციაცია (ENQA), სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია (WFME). ამ სტანდარტებიდან გადახრა სერიოზულ რისკებს უქმნის საქართველოში მიღებული უმაღლესი განათლების სანდოობას, შედარებადობასა და საერთაშორისო რეპუტაციას.

საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG 2015),<sup>24</sup> რომელთან თავსებადობა EHEA-ის წევრი ქვეყნებისთვის საკვანძო პასუხისმგებლობას წარმოადგენს,<sup>25</sup> უზრუნველყოფს ნდობას წევრ ქვეყნებში მიღებული განათლების ხარისხის მიმართ და ამარტივებს აღიარებას<sup>26</sup>. ESG 2015-თან თავსებადობა ENQA-ს წევრობისა და EQAR -ში რეგისტრაციის წინაპირობაა. აღნიშნული ორგანიზაციების წევრობა საქართველოში და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2019 წელს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ხუთწლიანი რეფორმის შედეგად მოიპოვა. თუმცა, 2024 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის განსაზღვრული სტანდარტების დარღვევის (3.3 დამოუკიდებლობა - შესაბამობა; 2.5 გადაწყვეტილებების მიღების ცხადი კრიტერიუმების თანმიმდევრული გამოყენება - ნაწილობრივი შესაბამისობა) საფუძველზე EQAR-ში რეგისტრაცია დაკარგა, ხოლო ENQA-ს წევრობა “დაკვირვების ქვეშ” სტატუსით შეიცვალა.<sup>27</sup> ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიეცა ორი წლის ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

წარმოდგენილი რეფორმა არათუ ხელს უწყობს აღნიშნული დარღვევების გამოსწორებას, არამედ დამატებით სტანდარტებთან შესაბამისობის რისკებს ქმნის. კონცეფციაში წარმოდგენილი საკითხები და უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი წინააღმდეგობაში მოდის უმაღლესი განათლების ავტორიზაციის

<sup>24</sup> უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG 2015)

<sup>25</sup> გიანანს კომუნიკი, 2024

<sup>26</sup> EQAR-ის მისია

<sup>27</sup> ENQA ს საბჭოს წარმომადგენლებთან დაკავშირებით  
EQAR-ის უკაცობის გამოყენება

სტანდარტებით გათვალისწინებულ საკითხებთან, როგორებიც არის: უნივერსიტეტის ავტონომია და პასუხისმგებლობა, საკუთარი რესურსების, პრიორიტეტებისა და სტრატეგიის შესაბამისად განსაზღვროს სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი (2.3), აკადემიური, კვლევითი და შემოქმედებითი მიმართულებები (3.1; 6.1), შეიმუშაოს პერსონალის, მათ შორის აკადემიური პერსონალის საკადრო პოლიტიკა (4.1)<sup>28</sup>. სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის ცენტრალიზებულად დაწესებული მოთხოვნები და მათი შეუსაბამობა ხარისხის უზრუნველყოფის მოქმედ სტანდარტებთან აჩენს კერძო და საჯარო უნივერსიტეტების განსხვავებული მიდგომით შეფასების პირობებს. განსხვავებული მიდგომები საერთაშორისო დონეზე იწვევს ეჭვს ქვეყანის უნივერსიტეტების ხარისხის სანდოობის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ 2024-2025 წლებში, მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, ავტორიზაცია 15-მა სახელმწიფო უნივერსიტეტმა 6 წლის ვადით მიიღო<sup>29</sup>. ავტორიზაციის გადაწყვეტილებებში მითითებულია თითოეული უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობა, მათ შორის სამედიცინო ინგლისურენოვან პროგრამებზე მისაღები ზღვრული რაოდენობა<sup>30</sup>, ასევე პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელების უფლება აქვს უნივერსიტეტს. კონცეფციის დოკუმენტი და მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები<sup>31</sup> უგულებელყოფს 6 წლის ვადით მიღებულ გადაწყვეტილებებს.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ძალაში გამოქვეყნებისთანავე, 2025 წლის 16 დეკემბერს, შევიდა, ასევე უგულებელყოფს უნივერსიტეტების მიერ განსაზღვრულ და ავტორიზაციის ფარგლებში შეფასებულ სტრატეგიულ მიმართულებებს, პრიორიტეტებსა და გეგმებს. ამის ნაცვლად, უნივერსიტეტებს ბუნდოვან ვითარებაში უწევთ ფუნქციონირება, სადაც მათ, ამ ეტაპზე, ისიც კი არ იციან, თუ რომელი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებას მისცემს მთავრობა. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული უნივერსიტეტისთვის საავტორიზაციო შეფასებაში გადახდილი თანხა საშუალოდ დაახლოებით 50000-65000 ლარის ფარგლებში მერყეობს.

ზემოაღწერილი ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესების ფონზე, აღსანიშნავია რომ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრმა არ გამოიყენა მისთვის ხარვეზების გამოსასწორებლად მიცემული 2-წლიანი ვადა და 2025 წლის აგვისტოში შეიტანა განაცხადი ENQA-ს წევრობის სტატუსის აღსადგენად ხელახალი შეფასებისთვის<sup>32</sup>. აღნიშნული პროცესის ფარგლებში ENQA-ს ექსპერტები 2026 წლის თებერვალში ვიზიტის დროს გადაამოწმებენ საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან. უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, გაუმართავი და ბუნდოვანი პროცესი, ცალსახად ხელს შეუშლის აღნიშნული შეფასების წარმატებით გავლას, მოშლის პროცესს და კიდევ ერთხელ, ზიანს მიაყენებს საქართველოს უმაღლესი განათლების რეპუტაციას.

<sup>28</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 99/6, 2010

<sup>29</sup> [ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილება](#)

<sup>30</sup> კონცეფციის მიხედვით სახელმწიფო უნივერსიტეტებს უფლებაა უზრუნველყონ სტუდენტების მიღების შესაძლებლობა.

<sup>31</sup> [ცვლილება უმაღლესი განათლების შესახებ კანონში](#), 10/12/2025

მთავრობა სამინისტროს ნაჩვენებობით განსაზღვრავს ჩამონათვალს თუ რომელი საგანმანათლებლო პროგრამების (უნივერსიტეტის) განხორციელების უფლება აქვთ უნივერსიტეტებს, ასევე მთავრობა განსაზღვრავს პროგრამების მიხედვით მისაღების სტუდენტების რაოდენობას (მუხლი 6). უნივერსიტეტებს, თავიანთი სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის მიმართულებების განხორციელება კი მხოლოდ მთავრობის მიერ განსაზღვრული "საგანმანათლებლო პროგრამების ზარდახადი" ექვემდებარება (მუხლი 10).

<sup>32</sup> [ENQA-ს მიერ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელახალი შეფასების პირობებზე შეთანხმება](#)

საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სანდოობისა და გამჭვირვალობისთვის მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის დაწესებული გამონაკლისი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული უნივერსიტეტი არ ექვემდებარება ქვეყანაში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებას<sup>33</sup>. აღნიშნული გამონაკლისი, ეჭვქვეშ აყენებს როგორც ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების კვალიფიკაციების ხარისხს, ასევე ქვეყანაში მოქმედი სისტემის სანდოობას. ეს რისკი განსაკუთრებით იზრდება იმ პირობებში, როდესაც კონცეფცია ქუთაისს და სავარაუდოდ, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს, წარმოგიდგენს უმაღლესი განათლების ერთ-ერთ ჰაბად, სადაც თბილისიდან სტუდენტების “დეკონცენტრაციის” შედეგად მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს სტუდენტების რაოდენობა. აღნიშნული საკითხი ასევე დამატებით რისკს უქმნის ENQA-ს მიერ საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასების პროცესში დადებითი შედეგის მიღწევას.

გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად ESG 2015 გადახედვის პროცესშია. დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც 2027 წელს დამტკიცდება, ხაზს უსვამს აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიის პრინციპების დაცვას (სტანდარტი 1.1).<sup>34</sup>

**აღნიშნული საკითხები კვლავ წინააღმდეგობაში მოდის ასოცირების შეთანხმების 359-ე მუხლთან, რომლის მიხედვითაც, საქართველომ უნდა განახორციელოს “უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება იმ საშუალებით, რომელიც თანხვედრაშია ევროკავშირის “უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა და ბოლონის პროცესთან”.**

საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ასევე ითვალისწინებს WFME-ის აღიარების კრიტერიუმებს<sup>35</sup>, რომელთა საფუძველზეც ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს შესაბამისი აღიარება ენიჭებათ და მათ მიერ აკრედიტებული სამედიცინო პროგრამები და ინსტიტუციები საერთაშორისო სანდოობით სარგებლობენ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა WFME-ის აღიარება 2018 წელს 10 წლის ვადით მოიპოვა. თუმცა აღიარებულ სააგენტოებს სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ WFME-ის ინფორმირების ვალდებულება აქვთ. მიმდინარე ცვლილებები ESG 2015-თან თავსებადობის ანალოგიურ პრობლემებს ქმნის WFME-ის შემთხვევაშიც. განსაკუთრებით კრიტიკულია საერთაშორისო სტუდენტების მხოლოდ კერძო უნივერსიტეტებში ჩარიცხვის შესაძლებლობის და სახელმწიფო და საჯარო უნივერსიტეტების მიმართ განსხვავებული მიდგომების საკითხი. ასევე კრიტიკულ საკითხს წარმოადგენს რეფორმის გაცხადებული მიზანი, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებს, რომელთაც გავლილი აქვთ ხარისხის შეფასება სამედიცინო განათლების ნაწილში სრულად ჩამოერთვათ სამედიცინო პროგრამების განხორციელების უფლება ან შეეზღუდოთ ამ პროგრამებზე უცხოელი სტუდენტების მიღება. ასეთ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება უკვე ჩარიცხული სტუდენტების სრული სასწავლო ხანგრძლივობის განმავლობაში ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა. ამ პერიოდში უნივერსიტეტები დაკარგავენ მნიშვნელოვან ფინანსურ და, სავარაუდოდ, ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსს, რაც საჭიროა სამედიცინო განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად.

<sup>33</sup> [კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, მუხლი 5. “ბ”](#)

<sup>34</sup> [ESG 2027 სამუშაო ვერსია](#)

<sup>35</sup> [სამედიცინო განათლების მსოფლიო უაქაისის ასოციაციის კრიტერიუმები, 2025](#)

## უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა და დაზინანება

კონსტაუციის განხორციელება, სპეკიალურ, მნიშვნელოვნად შეზღუდვას უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას.

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მიხედვით, “ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.” უმაღლესი განათლების შესახებ კანონი კი აკონკრეტებს, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს მასზე ხელმისაწვდომობასა და ღიაობას (მუხლი 3).

კონცეფციაში, მიუხედავად მრავალი ბუნდოვანებისა, რამდენიმე მიმართულება მკაფიოდ არის გამოკვეთილი. დამატებით ოფიციალური პირების მედია ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია გავაანალიზოთ ის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქვეყანაში სტუდენტური ნაკადების რაოდენობაზე, დინამიკასა და გეოგრაფიულ განაწილებაზე. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვვარაუდობთ, რომ რეფორმის შედეგები უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის შემცირების სერიოზულ საფრთხეს ქმნის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

## სკოლებთან მისაღები მთლიანი კონტინგენტის სპეკიალურ შემცირება

ჯერ-ჯერობით არ გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, როგორ შეიცვლება უნივერსიტეტებში სტუდენტთა მისაღები მთლიანი კონტინგენტი. თუმცა, უკვე ვიცით, რომ საჯარო უნივერსიტეტებს უკვე 2026 წლის თებერვალში დაუწესდებათ კვოტები მიღებაზე ამჟამად მიმდინარე შრომის ბაზრის კვლევის დასკვნების საფუძველზე.<sup>36</sup> მისაღები სტუდენტების კონტინგენტების სავარაუდო შემცირებაზე, განსაკუთრებით საჯარო უნივერსიტეტებში, რამდენიმე ფაქტი მიუთითებს.

პირველ რიგში, გამოცხადებულია, რომ საქართველოში სტუდენტების საერთო რაოდენობა უნდა შემცირდეს **150 ათასიდან 110 ათასამდე**<sup>37</sup>. უცნობია, კონკრეტულად რომელი მონაცემია გამოყენებული „150 ათასის“ საფუძველად. აქტიური სტატუსის მქონე ქართველი სტუდენტების რაოდენობა 154 ათასია, მაშინ როცა აქტიური სტუდენტების სრული რაოდენობა, უცხოელი სტუდენტების ჩათვლით, არის 197 879<sup>38</sup>.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველი სტუდენტების ჯამური რაოდენობა უნდა იყოს 110 ათასი. შესაძლებელია, რომ 150 ათასიდან 110 ათასამდე სტუდენტების საერთო რაოდენობის შემცირება გულისხმობს დაახლოებით სტუდენტთა ერთი მეოთხედის მექანიკურად შეკვეცას სწავლის ხანგრძლივობის შემცირების ხარჯზე (კონცეფციით შემოთავაზებული მოდელი - 3 წელი ბაკალავრიატი +1 წელი მაგისტრატურა). თუმცა, აღსანიშნავია, რომ 1. საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით საბაკალავრო საფეხურის ხანგრძლივობა არა 3 წლით, არამედ, მინიმუმ 3 წლით განისაზღვრა. ასევე დაშვებული იქნება 2-წლიანი სამაგისტრო საფეხური. 2. ეს ხანგრძლივობა არ შემცირდება რეგულირებად მიმართულებებზე, რომლებზეც სწავლების ხანგრძლივობა 5 ან 6 წელია.

<sup>36</sup> განათლების რეფორმა - კავშირის ინფორმაცია

<sup>37</sup> კოპახიძის თქმით, სკოლების რაოდენობა 150 000-დან 110 000-მდე შემცირდება

<sup>38</sup> ყველა რიცხვი ეფუძნება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ 2025 წლის 27 ნოემბერს მოწოდებულ მონაცემებს

შესაბამისად, სტუდენტების რაოდენობის შემცირების გათვლა ვერ იქნება დაფუძნებული მხოლოდ სასწავლო პროგრამების ხანგრძლივობის შემცირებაზე. აქედან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ **თუ ქართველი სტუდენტების ჯამური რაოდენობა 110 ათასი უნდა იყოს, მისაღები კონტინგენტი, დიდი ალბათობით, შემცირდება<sup>39</sup>.**

სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის სავარაუდო შემცირებაზე მიუთითებს “ერთი ქალაქი - ერთი ფაკულტეტის” ფორმატის შემოღებაც. დაბალია ალბათობა იმისა, რომ თბილისში რომელიმე საჯარო უნივერსიტეტის მიერ რომელიმე დიდ მიმართულებაზე მისაღები სტუდენტების მთელი რაოდენობის შენოვას რომელიმე სხვა საჯარო უნივერსიტეტი მოახერხებს ამ მიმართულების გაუქმების შემთხვევაში. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფაკულტეტების გაერთიანება/გაუქმება კონკრეტულ მიმართულებებზე დიდი ალბათობით შეამცირებს მიღებას.

**შემცირებული სტუდენტთა მისაღები კვოტა განსაკუთრებით შეამცირებს უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისთვის, რომლებიც 2028 წელს მე-11 და მე-12 კლასებს ერთდროულად დაამთავრებენ.** წინა წლების ტენდენციების გათვალისწინებით, 2028 წელს სკოლას დაასრულებს დაახლოებით 53 600 მეთორმეტეკლასელი და დაახლოებით 51 000 მეთერთმეტეკლასელი, ჯამში 100 000-ზე მეტი აბიტურიენტი.

ამ ფონზე ყველა უნივერსიტეტში მისაღები ადგილი დაახლოებით 45 000-ია, რომელთაგან ყოველწლიურად ივსება მხოლოდ 31 000-მდე. ეს ნიშნავს, რომ 50 ათასზე მეტ ახალგაზრდას 2028 წელს არ ექნება შესაძლებლობა, დაიწყოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, მაშინ როდესაც მიღების კვოტები არ გაიზრდება. ეს არა მხოლოდ ამცირებს ხელმისაწვდომობას, არამედ აჩენს მკვეთრ სოციალურ უთანასწორობას – უნივერსიტეტში მოხვედრის შანსი დამოკიდებული გახდება სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე, დამატებით რესურსებსა და საცხოვრებელ ქალაქზე.

## **დაზინანსების შემოთავაზებული მოდელი, გამოყოფილი ბიუჯეტი და უზასო უმაღლესი განათლების დაკვირვება: უათიკათგამომჩისხაპი სუკათი**

შემოთავაზებული რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს უმაღლესი განათლების დაფინანსება. უმაღლესი განათლების კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად უქმდება საგრანტო დაფინანსების სქემა. შესაბამისად, საჯარო უნივერსიტეტები პირდაპირი გზით მიიღებენ დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამასთან, კერძო უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტები ვერ მიიღებენ დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საჯარო უნივერსიტეტებში ჩარიცხულ სტუდენტებს, გამოცხადებული გეგმის თანახმად, არ მოუწევთ სწავლების საფასურის გადახდა<sup>40</sup>.

<sup>39</sup> გამოძინაი იქიდან, რომ კონსტრუქციისა და საკონსტრუქციო ცვლილებას თან ახლავს შესაბამისი ანალიზი და გამოწვანი, ხდინსწავლთა მონაცემებზე და ინფორმაციის დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კავშირი მინისგინის განსხვავებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უათიკათსანინააღმდგოა [\(სტუდენტების კოლენობა 150 000-დან 110 000-მდე შემცირება, სახელმწიფო უნივერსიტეტებში ბიუჯეტი მისაღები სტუდენტების კოლენობა\).](#)

<sup>40</sup> მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სტუდენტების ბაკველი ნინი „უზასო“ კავშირსწავლთა კოლენს საჯარო, ასევე კერძო უნივერსიტეტებში: 1. სტუდენტებს შეეძლოთ მიეღოთ სხვადასხვა კოლენის სახელმწიფო გრანტი ერთიან ეკონომიკურ გამოწვანა მიღებული ქულების საუკველი, და 100%-იანი გრანტის პოლენობი იმ უნივერსიტეტებში და მიმართულებებში, სადა საუკველი 2250

საჯარო უნივერსიტეტებში მისაღები სტუდენტების რაოდენობის შემცირებაზე მეტყველებს წარმოდგენილი დაფინანსების მიდგომა, რომლის მიხედვითაც საჯარო უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურს მთლიანად სახელმწიფო დაფარავს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთ სტუდენტზე დახარჯული თანხა (2250 ლარი) უცვლელი დარჩება, სახელმწიფო უნივერსიტეტებში ყველა ახლადმიღებული სტუდენტის (სახელმწიფო უნივერსიტეტებში ყოველწლიურად საშუალოდ 24800 სტუდენტი ირიცხება: 21000 ბაკალავრიატში, 3600 ათასამდე მაგისტრატურაში და დაახლოებით 200 - დოქტორანტურაში) დაფინანსება წელიწადში სახელმწიფოს დაუჭდება დაახლოებით 56 მილიონი ლარი. ეს თითქმის ორჯერ აღემატება ამჟამად წელიწადში ერთი კოჰორტის სტუდენტების დაფინანსებაზე გამოყოფილ თანხას: მიმდინარე წელს საბაკალავრო და სამაგისტრო სტუდენტურ გრანტებზე, სოციალურ გრანტებსა და პროგრამულ დაფინანსებაზე ჯამურად გამოყოფილია 29.2 მილიონი ლარი<sup>41</sup>. ამასთან, 2026 წლის დამტკიცებულ სახელმწიფო ბიუჯეტში ყველა სტუდენტის დაფინანსებაზე (როგორც ბაკალავრიატის ყველა კურსის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტებზე) მთლიანად გამოყოფილია 136.9 მილიონი ლარი, რაც თითქმის იგივეა, რაც 2025 წელს გამოყოფილი თანხა (136.2 მილიონი ლარი). ეს კი დამატებით ეჭვქვეშ აყენებს მისაღები სტუდენტების რაოდენობის შემცირების გარეშე საჯარო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის დაფინანსების შესაძლებლობას. სტუდენტების დაფინანსებაზე გამოყოფილი თანხის გაზრდის გარეშე ამჟამად გათვალისწინებული თანხა (ერთ სტუდენტზე 2250 ლარის გათვალისწინების პირობებში) საკმარისი იქნება დაახლოებით 13000 სტუდენტისთვის.

აღსანიშნავია, რომ სწავლის თვითღირებულება ერთ სტუდენტზე დახარჯულ 2250 ლარს აღემატება და ერთი სტუდენტის მომზადების თვითღირებულების დიაპაზონი სხვადასხვა საფეხურისა და მიმართულების პროგრამების მიხედვით 3000-6000 ლარს შეადგენს. შესაბამისად, თუ სახელმწიფო, არსებული დაფინანსების პირობებში, სტუდენტების კვოტების შემცირების გარეშე დააფინანსებს ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტს, ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტების მძიმე ფინანსური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდებიან და შემცირებული ბიუჯეტის პირობებში მოუწევთ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს უნივერსიტეტის საქმიანობის მდგრადობასა და განათლების ხარისხს. დეტალური გათვლები უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების მიღებისა და სახელმწიფო დაფინანსების მარჯვენაღლების შესახებ მოცემულია დანართში (დანართი 1).

როგორც ვვარაუდობთ, თუკი ფაკულტეტების გაერთიანების შედეგად შემცირდება მიღება საჯარო უნივერსიტეტებში, გაიზრდება კონკურენცია და, შედეგად, საჯარო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შანსს დიდი ალბათობით დაკარგავენ ყველაზე ნაკლებად პრივილეგირებული და ნაკლებად შეძლებული ოჯახების შვილები. მათ ასევე დაეკარგებათ კერძო უნივერსიტეტებში ხელსაყრელი პირობებით სწავლის შესაძლებლობა, რადგან კერძო უნივერსიტეტებში უქმდება საგრანტო დაფინანსება.

ღარს აკ აღემატება. ყოველწლიურად დაახლოებით 1000 სტუდენტზე გაიყვანება 100%-იანი კაპაზი. გაკა აქისა, სტუდენტები იღებენ 70%-იან და 50%-იან კაპაზას პათიანი პროცესული გამოცდების შედეგების მიხედვით. 2. სახელმწიფო შიკა გამოვლინდ კონკრეტულ ვაკუანტებზე და მიმართულებაზე, რომლის მიჩნეულია პროკონკრეტულ, მაგამ აკასაკაისსა მოთხოვნადა, სახელმწიფო მთლიანად აუინანსება ჩაიხსული სტუდენტების სწავლას. ამ პროკონკრეტულ ჩაიხსული სტუდენტების კალონობა წლიურად დაახლოებით 5 ათასამდეა.

<sup>41</sup> [საქართველოს მთავრობის დაგეგმვა #11, 2025](#); [საქართველოს მთავრობის დაგეგმვა #33, 2025](#)

## თბილისში ხელმისაწვდომობის გეგმითი შეფასება

გეოგრაფიული კონცენტრაცია – ამჟამად იმ სტუდენტების წილი, რომლებიც თბილისში სწავლობენ დაახლოებით 84%-ს შეადგენს. რეფორმის მიხედვით, ეს წილი უნდა შემცირდეს **60%-მდე**<sup>42</sup>. ეს კი მოითხოვს ათიათასობით სტუდენტის დედაქალაქიდან სხვაგან გადასვლას, რაც ხელმისაწვდომობას დაუშვებლად გაართულებს სტუდენტებისთვის, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ და აქ აქვთ სოციალური, ოჯახური ან ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე საჭირო ინფრასტრუქტურა (მაგ., შშმ სტუდენტებისთვის).

თუ საერთო სტუდენტების რაოდენობა, 197879, შემცირდება 40000-ით, საიდანაც მხოლოდ 60% ისწავლის თბილისში, მაშინ დედაქალაქში სწავლა ნებადართული იქნება მხოლოდ **95 ათასი სტუდენტისთვის** (ამჟამად თბილისში 166 ათასი სტუდენტი სწავლობს).

მექანიკური გათვლებით (სწავლის ხანგრძლივობის შემცირების პირველადი ეფექტით), თბილისში სწავლის შესაძლებლობას დაახლოებით 30 ათასი სტუდენტი დაკარგავს. ეს ხელმისაწვდომობის პრობლემებს შეუქმნის ძირითადად იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც თბილისში ცხოვრებით აქვთ:

- დასაქმების პარალელური საჭიროება
- ოჯახური მოვალეობები
- ჯანმრთელობის მდგომარეობა
- სოციალური მომსახურებებისა და ინკლუზიური ინფრასტრუქტურის დამოკიდებულება

ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ გეოგრაფიული „დეკონცენტრაცია“ რეალურად ქმნის ახალ ბარიერებს, რომლებიც ყველაზე დაუშვებლად ზრდის რეგიონული და სოციალური უთანასწორობის მასშტაბს.

## რეგიონული უნივერსიტეტების კავშირები

რეფორმის კონცეფციის თანახმად, რეგიონული უნივერსიტეტები (ბათუმის, ზუგდიდის, სამცხე-ჯავახეთის, გორის და თელავის) უნდა ჩამოყალიბდეს პროფილურ სასწავლებლებად და მათი პრიორიტეტი უნდა იყოს აგრარული და პედაგოგიური მიმართულებების განვითარება. ამ უნივერსიტეტებში სხვადასხვა პროგრამაზე მისაღები და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობების ანალიზი გვჩვენებს, რომ 1. სოფლის მეურნეობის პროგრამები ყველგან არ არის ხელმისაწვდომი; 2. განათლებისა და სოფლის მეურნეობის პროგრამები ახალგაზრდებს შორის პოპულარობით არ სარგებლობს, ამიტომ პროგრამებზე დიდი რაოდენობით რჩება შეუვსებელი ადგილები. განათლებისა და სოფლის მეურნეობის პროგრამები არც ერთ ამ უნივერსიტეტში არ შედის ყველაზე მოთხოვნადი მიმართულებების სამეულში. შესაბამისად, თუკი ეს უნივერსიტეტები

<sup>42</sup> [თბილისში სტუდენტების წილი 60%-მდე უნდა ჩამოვიდეს](#)

პროფილურ სასწავლებლებად ჩამოყალიბდება ფოკუსით განათლებასა და სოფლის მეურნეობაზე, სავარაუდოა, რომ მათი პოპულარულობა კიდევ უფრო შემცირდება. ყველაზე მეტად და ნაკლებად მოთხოვნადი ფაკულტეტები და მიმართულებები რეგიონულ უნივერსიტეტებში მოცემულია დანართის სახით (დანართი 2).

ზოგადად გეოგრაფიული დეკონცენტრაცია, რომელიც წარმოდგენილი რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია, საქართველოს გამოცდილებიდან გამომდინარე, მარტივად არ მიიღწევა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელმაც, განვითარებული ინფრასტრუქტურის მიუხედავად, ვერ მოახერხა სათანადო რაოდენობის სტუდენტთა მოზიდვა: უნივერსიტეტში 2025-2026 წლებში მხოლოდ 1645 სტუდენტი ირიცხებოდა. დიდი რაოდენობით შეუვსებელი ადგილები რჩება სწორედ იმ მიმართულებებზე, რომლებიც ამ უნივერსიტეტისთვის ყველაზე პოპულარული უნდა იყოს. ასე მაგალითად, შეუვსებელი დარჩა კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით 2025-2026 სასწავლო წელს გამოყოფილი ადგილების 62%, მათემატიკისა და გამოყენებითი მათემატიკის მიმართულებებით კი - 60%. შესაბამისად, მხოლოდ ინფრასტრუქტურის განვითარება არ განაპირობებს სტუდენტთა მოზიდვას.

## **გაგაჩინებული პერიოდი და სტუდენტების ინფორმაცია**

რეფორმის წარმოდგენილი სახით განხორციელების შემთხვევაში განსაკუთრებით პრობლემური იქნება გარდამავალი პერიოდი საჯარო უნივერსიტეტებში. საჯარო გამოსვლებსა და ინტერვიუებში არაერთხელ ითქვა, რომ ვინც ამჟამად არის სტუდენტი, იქ დაამთავრებს, სადაც ჩააბარა და იგივე ხანგრძლივობით ისწავლის, როგორც დაგეგმილი იყო. შეგვიძლია ერთი ფაკულტეტის მაგალითზე წარმოვიდგინოთ, როგორ შეიძლება ეს პრაქტიკაში განხორციელდეს და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.

**პირველ რიგში, ბუნდოვანია ვინ ასწავლის ამჟამად აქტიურ სტუდენტებს სწავლის დასრულებამდე.** მაგალითად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ყველა კურსზე 2025-2026 წელს ირიცხება სულ 2261 აქტიური სტუდენტი. თუკი ტექნიკურ უნივერსიტეტში სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება არ დარჩება (რისი დიდი ალბათობაც არსებობს), მაშინ ჩნდება შეკითხვა, ეს 2261 სტუდენტი როგორ დაამთავრებს სასწავლო კურსს. ამჟამად ტექნიკურ უნივერსიტეტში ამ ფაკულტეტზე ასწავლის 42 სრული პროფესორი, 40 ასოცირებული პროფესორი, 15 ასისტენტ პროფესორი და 22 ასისტენტი. თუკი ამ ფაკულტეტზე მისაღებ მომავალ სტუდენტთა მთელ კონტიგენტს შეიწოვს მაგალითად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ის ნიშნავს თუ არა, რომ აკადემიური პერსონალი გადავა თსუ-ის შესაბამის ფაკულტეტებზე? და თუ ასე მოხდება, ამ შემთხვევაში ვინ ასწავლის დარჩენილ 2261 სტუდენტს? თეორიულად შესაძლებელია, რომ აკადემიური პერსონალის გადასვლა მოხდეს ეტაპობრივად, სტუდენტური ნაკადების შესაბამისად. თუმცა ყველა ფაკულტეტზე ასეთი მასშტაბური ცვლილების განხორციელება გაცილებით დიდ დროსა და საფუძვლიან დაგეგმვას მოითხოვს.

ასევე გასათვალისწინებელია რომ ამჟამად საქართველოში 124 380 სტუდენტს აქვს სტატუსი შეჩერებული; მათგან 68 195 საჯარო უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტია. რეფორმის პირობებში სტატუსის აღდგენა და სწავლის დასრულება იმავე უნივერსიტეტში, სადაც ჩააბარეს მათთვის პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება, რადგან შეჩერებული სტატუსის აღდგენა 5 წლის განმავლობაშია შესაძლებელი, ამ დროისთვის კი ბევრი ფაკულტეტი კონკრეტულ უნივერსიტეტებში აღარ იარსებებს; აღსანიშნავია, რომ ამ სტუდენტების უმეტესობა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელია, რადგან სტატუსის შეჩერების ძირითადი მიზეზი სწავლების გადასახადის ვერგადახდაა. ეს პირდაპირ არღვევს წვდომის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

**არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფრაქტრუქტურის საკითხი გარდამავალ პერიოდში.** რეფორმის კონცეფციისა და შემდგომში მაღალჩინოსნების მიერ საჯაროდ გამოცხადებული გეგმების თანახმად, იგეგმება საჯარო უნივერსიტეტების შენობების ოპტომიზაცია/პროვატიზება და ახალი ინფრასტრუქტურის განვითარება. ჯერჯერობით ზუსტად არ არის ცნობილი, ეს ცვლილება რამდენ შენობას შეეხება და რა ვადაში იგეგმება მისი განხორციელება. ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების უმოკლეს ვადებში შესრულების პირობებშიც კი არ არის ნათელი, ის სტუდენტები, რომლებიც ახლა ამა თუ იმ უნივერსიტეტებში სწავლობენ, მათი პრივატიზაციის შემთხვევაში სად ისწავლიან. თუ მოხდება არსებული კორპუსების პრივატიზაცია, ეს ნიშნავს თუ არა, რომ ახალაშენებულ საუნივერსიტეტო კამპუსში განაწილდება ყველა ამჟამინდელი სტუდენტი? უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაგეგმილია სტუდენტთა შეფარდება თბილისსა და დანარჩენ საქართველოს შორის იყოს 60/40, და შესაბამისად, სტუდენტთა საერთო რაოდენობა თბილისში უნდა იყოს 95 ათასი, ამჟამად კი თბილისში აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა გაცილებით მეტია. შესაბამისად, გაურკვეველია ახალი ინფრაქტრუქტურა რა რაოდენობის სტუდენტებისთვის დაიგეგმება.

## **კონსტრუქციის გუნდის საუბრები, ტრაგედი და მოსალოდნელი შედეგები**

გარდა იმისა, რომ კონცეფციის შემუშავებისა და განხილვის პროცესში არ იყო უზრუნველყოფილი აკადემიური საზოგადოების ჩართულობა, კრიტიკული საკითხია ისიც, რომ კონცეფცია წარმოდგენილია ემპირიული დიაგნოსტიკური საფუძვლისა და ანალიტიკური დასაბუთების გარეშე. აღნიშნულ პრობლემას ადასტურებს და აღრმავებს უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის (234/2-XIმპ, 03.12.2025)<sup>43</sup> განმარტებითი ბარათი, რომელსაც ასევე არ ახლავს სათანადო ანალიზი და დასაბუთება<sup>44</sup>. აქედან გამომდინარე, კონცეფციით წარმოდგენილი პრობლემების ჩამონათვალი და შემოთავაზებული გადაწყვეტის წინადადებები დამატებით გაურკვეველობას და კითხვებს აჩენს მათ რელევანტურობასთან დაკავშირებით.

კრიტიკული პრობლემაა კონცეფციაში ძირითადი ტერმინების, კრიტერიუმებისა და მიდგომების მიმართ სიცხადის არარსებობა, რაც ბუნდოვანს ხდის რეფორმის შინაარსს, პოტენციურ შედეგებსა და რისკებს. მაგალითად, გაუგებარია, რა იგულისხმება

<sup>43</sup> [საქართველოს კანონის პროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ \(234/2-XIმპ, 03.12.2025\)](#)

<sup>44</sup> განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტის მომზადებაში არ ყოფილა ჩართული სახელმწიფო, აკადემიური ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დონორები, ექსპერტები, საშუალო ჯგუფი; არ არსებობს შესაბამისი ექსპერტული შეფასება, ასევე არ ყოფილა მომზადებული და გათვალისწინებული ასახული გამოსწორებათა მიმოხილვა.

“ფაკულტეტში,” რადგან უნივერსიტეტებში ფაკულტეტების ორგანიზება არ არის უნიფიცირებული; რას გულისხმობს “სახელმწიფო დაკვეთა;” რას გულისხმობს და რა მეთოდოლოგიით არის ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა; მხოლოდ სახელმწიფო დაკვეთა და შრომის ბაზარი რატომ არის უნივერსიტეტებში საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრალიზებულად განსაზღვრის საფუძველი. გაურკვეველია, რა მიდგომისა და კრიტერიუმების საფუძველზე განისაზღვრება უნივერსიტეტებში საგანმანათლებლო პროგრამების გადანაწილება და საუნივერსიტეტო პროფილის განსაზღვრა, რას ნიშნავს “ტრადიციული პროფილი და ისტორიული გამოცდილება.”

დოკუმენტი არ იძლევა სურათს კონცეფციაში ასახული გეგმების დანერგვის სცენარებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი გარდამავალ პერიოდში მოსალოდნელი ქაოსის შესახებ. ეს საკითხი ქმნის სტუდენტებისა და პერსონალის აკადემიური თუ ადმინისტრაციული საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვისა და კანონიერი უფლებების დაცვის მნიშვნელოვან საფრთხეს.

კონცეფციას აკლია შეფასება მის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური, ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსების შესახებ; არ არის განსაზღვრული მკაფიო ვადები, პასუხისმგებელი ორგანოები, ოპერაციული მექანიზმები ან მოსალოდნელი შედეგები. ეს მაშინ, როცა მის განსახორციელებლად საკანონმდებლო ცვლილებები უკვე მიმდინარეობს.

წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს, რომ უმაღლესი განათლების რეფორმის ეროვნული კონცეფცია და მიმდინარე პროცესი ვერ ქმნის გააზრებული და შეთანხმებული უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის საფუძველს, რეფორმისა, რომელიც სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის და ფართო საზოგადოების საუკეთესო ინტერესებს ემსახურება. როგორც დოკუმენტის შემუშავების დახურული ფორმატი, ისე მისი შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით, უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და ბოლონის პროცესის პრინციპებით დადგენილ საფუძვლებს. კონცეფციაში გამოკვეთილ პრობლემებსა და შემოთავაზებულ ინტერვენციებს შორის არსებული შეუსაბამობა, ასევე არასრული და ფრაგმენტულად მოწოდებული ინფორმაცია ამცირებს რეფორმის მიმართ სანდოობას და ზრდის თვითნებურად ან არათანმიმდევრულად განხორციელების რისკს.

აკადემიური საზოგადოების მონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებები, ინსტიტუციური ავტონომიისა და აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და პრინციპებთან შეუთავსებელი მიდგომები ქმნის პოლიტიკას, რომელიც განვითარების ნაცვლად სისტემურ გაუარესებას განაპირობებს. მიმდინარე რეფორმის პროცესი ვერ უზრუნველყოფს საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცის განვითარებასა და ღიაობას, საფრთხეს უქმნის საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცის საერთაშორისო რეპუტაციას, ასუსტებს ევროპულ სისტემასთან ჰარმონიზაციასა და საერთაშორისო თანამშრომლობას. შედეგად, რეფორმა ვერ უპასუხებს უმაღლესი განათლების სისტემის რეალურ გამოწვევებს და, შესაძლოა, თავად იქცეს კრიზისის გამომწვევად.

უმაღლესი განათლების საფუძვლიანი რეფორმის ჩასატარებლად აუცილებელი წინაპირობაა საქართველოში უმაღლესი განათლების მიზნების, უნივერსიტეტის როლისა და მისიის ჩამოყალიბება აკადემიური და ფართო საზოგადოების ღია დისკუსიის საფუძველზე. გააზრებული და შედეგზე ორიენტირებული რეფორმის განსახორციელებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანია თითოეული ეტაპის ისე წარმართვა, რომ უნივერსიტეტები და აკადემიური საზოგადოება გახდეს არა პროცესის დამკვირვებელი და პასიური მიმღები, არამედ თანაშემწე.

დანართი 1

დანართი 1. უმაღლეს სასწავლებლებში სვლენების მიღებისა და სახელმწიფო დაზინანსების მარკინებები

ტერილი 1.1 2025-2026 აკადემიუი წელს სვლენების მიღება და დაზინანსება

<b>სვლენების მიღება</b>	
ბაკალავრიატის სვლენების მიღება საჯაროში	21039
ბაკალავრიატის სვლენების მიღება სულ	31345
მაგისტრატის სვლენების მიღება საჯარო უნივერსიტეტებში	3619
მაგისტრატის სვლენების მიღება კერძო უნივერსიტეტებში	5721
დოქტორანტის სვლენების მიღება საჯარო უნივერსიტეტებში	268
დოქტორანტის სვლენების მიღება კერძო უნივერსიტეტებში	487
<b>სახელმწიფო დაზინანსების ოდენობა მიმდინარე წელს ჩაიციული სვლენებისთვის</b>	
ბაკალავრიატი კომბინირებული	12723750
ბაკალავრიატი გრანტები (სოციალური ჩათვილით)	14287500
სულ ბაკალავრიატზე	27011250
მაგისტრატა - გრანტები და კომბინირებული	2000000
მაგისტრატა სოციალური	205000
სულ მაგისტრატაზე	2205000
<b>სულ ახლამილებული სვლენების დაზინანსება</b>	<b>29216250</b>

ტერილი 1.2 საჯარო უნივერსიტეტებში მიღებული სვლენებისთვის საჭირო დაზინანსების მოცულობა “უუასო

სწავლების" პირობებში

საშენი	მიღებული სწავლების კომპონენტი	სწავლის საშენი	დაინტენსივის ოდენობა
ბაკალავრიატი	21039	2250	47337750
მაგისტრატურა	3619	2250	8142750
დოქტორანტი	268	2250	603000
სულ	24926		56083500

დანართი 2. ყველაზე მეტად და ნაკლებად მოთხოვნილი უპასუხები და მიმართულებები კვირის  
უნივერსიტეტში

კომპონენტი	პირველი პირობები	სულ პირობები	ჩაიბნა	აღვიძები	დაჩა შეუვსებელი
<b>თქვენი სწავლების უნივერსიტეტი</b>					
აკრედიტაცია	34	219	20	60	67%
ბიომედიცინა	10	63	7	20	65%
სასწავლო გეგმვა	63	275	44	110	60%
დაწყებითი საშენის მასწავლებლის მომზადება	34	116	29	45	36%
აკრედიტაცია	25	101	21	30	30%
სამართალი	52	250	45	50	10%

ბიზნისის აღმონისგრიკიბა	22	236	19	20	5%
<b>ზუბილინს სხეღმონიზო უნივიკისიგვი</b>					
ზიკიბიბი	1	10	0	15	100%
სკონიბიბი ბინიბიბი	21	59	1	15	93%
ბიზნისის აღმონისგრიკიბა	28	128	15	30	50%
ვივიკინიბი	16	57	8	15	47%
ზონიბი ბინიბიბის ბინიბიბის სივივიკის ბინიბიბის ბინიბიბის	25	79	21	25	16%
სივივიკის ბინიბიბის	42	198	30	35	14%
ბინიბიბის ბინიბიბის	20	117	19	20	5%
ბინიბიბის ბინიბიბის	29	97	20	20	0%
<b>სივივიკის-ბინიბიბის სხეღმონიზო უნივიკისიგვი</b>					
ბინიბიბის ბინიბიბის	1	12	0	20	100%
ბიზნისის აღმონისგრიკიბა (180 ბინიბიბის ბინიბიბის)	7	178	3	40	93%
ბინიბიბის ბინიბიბის	9	82	5	50	90%
ბინიბიბის ბინიბიბის	10	133	5	40	88%
ბინიბიბის ბინიბიბის	26	208	18	40	55%
ბინიბიბის ბინიბიბის ბინიბიბის	56	171	33	60	45%
ბინიბიბის ბინიბიბის (180 ბინიბიბის ბინიბიბის)	119	357	87	100	13%





მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი)	136	479	108	150	28%
ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა უსიქოლოგიაში (ქართულ-ინგლისური) (180 კრედიტი)	87	401	82	100	18%
სამართალმცოდნეობა (ქართულ-ინგლისური)	99	372	97	100	3%